

საგადამხდელო საქმიანობა ელექტრონულ კომერციაში

მირიან გიგოლაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
gigolashvili@hotmail.com

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია საგადამხდელო საქმიანობის სპეციფიკა ელექტრონულ კომერციაში. ნაშრომში მოცემულია იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომლებიც იწვევენ მნიშვნელოვან საგადასახადო დანაკარგებს ელექტრონული კომერციის ფუნქციონირების გამო.

საკვანძო სიტყვები; გადასახადები, დაბეგვრა, ელექტრონული კომერცია.

I. შესავალი

თანამედროვე ეტაპზე საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინტერნეტი წარმოადგენს ინოვაციების, ეკონომიკური ზრდის და სოციალური გარდაქმნების მთავარ მამოძრავებელ ძალას. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ელექტრონული კომერცია. კონსალტინგური კომპანია Forrester Research პროგნოზით ონლაინ მყიდველები ამერიკის შეერთებულ შტატებში 2016 წელს დახარჯავენ 327 მილიარდ დოლარს, ხოლო ელექტრონული ვაჭრობის წილი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს საცალო ვაჭრობის 9%. [1]

ამასთანავე ინფორმაციის გავრცელების და მონაცემთა გადაცემის ახალი თანამედროვე საშუალებების გამოყენებამ შეუძლია შექმნას მნიშვნელოვანი პრობლემები მრავალი სახელმწიფოს საგადამხდელო სისტემაში.

ამერიკელი მეცნიერების კვლევებით საგადასახადო დანაკარგები ელექტრონული კომერციის გამო შეადგენს 11,66 მილიარდ დოლარს [2]

II. გადასახადების სპეციფიკა ელექტრონულ კომერციაში

ელექტრონული კომერციის და ტრადიციულ ვაჭრობას შორის არსებობს შემდეგი მნიშვნელოვანი განსხვავებები:

- ინტერნეტში გეოგრაფიული საზღვრების არარსებობა;
- შუამავლების გამორიცხვა ელექტრონული კომერციიდან
- ელექტრონული კომერციის მონაწილეების ანონიმურობა

სწორედ აღნიშნული განსხვავებები განაპირობებენ გადასახადების სპეციფიკას ელექტრონულ კომერციაში.

ა. ინტერნეტში გეოგრაფიული საზღვრების არარსებობა

ინტერნეტი არ არის მიზნული რომელიმე ცენტრალურ კომპიუტერზე ან მართვის ადგილზე, არ გააჩნია რაიმე ფიზიკური ადგილმდებარეობა და შესაბამისად გეოგრაფიული საზღვრები. ქსელში ფუნქციონირებენ ასიათასობით ე.წ. მარშრუტიზატორები ("routers"), რომელიც ნებისმიერ დროს განსაზღვრავენ მონაცემთა გადაცემის ოპტიმალური გზას. ტექნიკური თვალსაზრისით არ აქვს მნიშვნელობა, გადაიცემა თუ არა ინფორმაცია ქვეყნის ფარგლებში ან გადაკვეთს რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრებს. მომხმარებლისთვის არ აქვს მიშვნელობა ელექტრონული მალაზიის ადგილმდებარეობას განსხვავებით საგადასახადო ორგანოებისა რომლებსთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია

დაბეგვრის მიზნით სამენარმოვო საქმიანობის ადგილმდებარეობის დადგენა.

საერთაშორისო საგადასახადო სამართლის ერთი-ერთი ფუნდამენტური პრინციპია არის ტერიტორიულობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს აქვს უფლება გადასახადი აკრიბოს არარეზიდენტი პირისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას გააჩნია დაბეგვრის ობიექტი სახელმწიფოს ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ, თუ მისი საქმიანობა ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში. ტერიტორიულობის პრინციპიდან გამონაკლისი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს თანხმობით რაც გამოიხატება საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებით სხვა სახელმწიფოებთან. ტრადიციულად, სახელმწიფოს საგადასახადო იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე.

ელექტრონულ კომერციას გააჩნია ტრანსსასაზღვრო ბუნება და ერთი შეხედვით არ არის მიბმული კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე და შესაბამისად, რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით, დაბეგვრის ტრადიციულმა მექანიზმებმა და ინსტრუმენტებმა ელექტრონული კომერციასთან დაკავშირებით შეიძლება დაკარგოს თავისი ეფექტურობა. მიუხედავად ამისა, ელექტრონულ კომერციას მაინც აქვს გარკვეული მიბმა ცალკეული ქვეყნების ტერიტორიაზე, რადგან პირები, რომლებიც მონაწილეობენ ელექტრონულ კომერციაში იმყოფებიან კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე და ამასთანავე ყველა გარიგება და შემოსავლის მიღება ხდება რომელიმე ქვეყნის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის მეშვეობით საქონლის და მომსახურების მიწოდება არ საჭიროებს უცხოური კომპანიის (წარმომადგენლობა, ფილიალი, ცალკე ქვედანაყოფი) ფიზიკური ყოფნას მყიდველის ქვეყანაში. თავის მხრივ, უცხოური გამყიდველის წარმომადგენლობის ფიზიკურმა არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების დანაკარგები სახელმწიფო საგადასახადო სისტემაში.

ბ. შუამავლების გამორიცხვა ელექტრონული კომერციიდან

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ელექტრონული კომერცია არ საჭიროებს დიდი რაოდენობის შუამავლებს პროდუქციის მწარმოებლებსა და პროდუქციის მყიდველებს შორის [3]. ეს განაპირობებს დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც ელექტრონულ კომერციას მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს ბიზნესის არაელექტრონული სახით წარმართვასთან შედარებით.

შუამავლების გამორიცხვა ელექტრონული კომერციიდან ასევე შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ პროდუქცია (პროგრამული უზრუნველყოფა, წიგნები, სურათები, ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები) შეიძლება გავრცელდეს და გამოყენებული იქნას ციფრული ფორმით შეუზღუდავი რაოდენობის ასლის სახით. ამავდროულად "ხისტი" ინფორმაციის მატარებლის არსებობა არ არის აუცილებელი. ამგვარად, თუ საგადასახადო დაბეგვრა დამოკიდებულია იმ ფორმაზე რა ფორმითაც ვრცელდება პროდუქცია ციფრული პროდუქტები შეიძლება დარჩნენ დაბეგვრის გარეშე. ასევე, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქციის ციფრული გადაცემა (download) არ საჭიროებს საბაჟო გადასახადებს საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით, ხოლო დისკეტის ან ინფორმაციის სხვა ფიზიკური მატარებლის გადაგზავნა საფოსტო გზავნილით კი იბეგვრება ზოგადი წესით.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა დაამყაროს პირდაპირი კონტაქტი მწარმოებელსა და პროდუქციის საბოლოო მომხმარებელს შორის რაც მნიშვნელოვანი დანაკარგებს უქადის და შუამავლების მთელი კლასის (აგენტები, ბროკერები, საცალო, დისტრიბუტორები, კონსულტანტები, ქსელის მარკეტინგის წევრები და სხვა) სრულ შესაძლო გაუჩინარებას მოასწავებს. სახელმწიფოსთვის კი ეს ნიშნავს, საგადასახადო ბაზის დაკარგვას სააგენტო, საკომისიო და საბროკერო გადასახადების და ჰონორარის სახით..[4]

გ. ელექტრონული კომერციის მონაწილეების ანონიმურობა

ინტერნეტის ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ელექტრონული კომერციის

მონაწილეებს შეუძლიათ იყვნენ ანონიმური არა მარტო ერთმანეთის მიმართ, არამედ საგადამხდელო ორგანოებთან მიმართებაშიც. ინტერნეტ მისამართში დომენური სახელი მიუთითებს მხოლოდ ელექტრონულ გარიგებაში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების პირის სახელმწიფო ადგილმდებარეობაზე მაგრამ არ იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას.

ოფლაინური გარიგებების დროს ადვილად შესაძლებელია პროდუქციის ფიზიკური გადატვირთვის და მიწოდების ადგილის განსაზღვრა. ყოველივე ეს კი შეუძლებელია ონლაინ გარიგებების დროს, როდესაც მიწოდების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მითითება არ არის აუცილებელი.

დღემდე შეუძლებელია ელექტრონული კომერციის მონაწილე პიროვნების დადგენა (პირველ რიგში სახელი და ფაქტიური ადგილსამყოფელი) IP მისამართის საფუძველზე. უკეთეს შემთხვევაში IP მისამართი საშუალებას იძლევა დავადგინოთ სახელმწიფო და ქალაქი, სადაც იყო დამყარებული შეერთება. ამასთანავე არსებობენ სპეციალური პროგრამები, რომლებიც საშუალებას იძლევიან დაიშიფროს კომპიუტერის IP მისამართი.

იმ შემთხვევაშიც კი როცა ცნობილია გამყიდველის დასახელება და ადგილმდებარეობა თავს იჩენს ახალი პრობლემა ანუ როგორ უნდა გავაკონტროლოთ მისი საქონელბრუნვა შემდგომში მისი დაბეგვრის ვალდებულებების დასადგენად. ეს შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტში დადებული გარიგებების აღრიცხვის წარმოების პირობებში. ამასთანავე დღესდღეობით ინტერნეტში ინფორმაციის მოცულობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა (და არც უფლება) მათზე კონტროლი დააწესოს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე რომ ინტერნეტში ინფორმაცია გადაიცემა მონაცემთა პაკეტებით და ტექნოლოგიურად შეუძლებელია ცალკეული მონაცემთა პაკეტების შემადგენლობის განსაზღვრა. ამასთანავე ინტერნეტში გადაცემული ინფორმაცია შეიძლება იყოს კოდირების მეთოდებით დაცული.

ამგვარად დღესდღეობით საგადამხდელო კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული კომერციის მონაწილეების მიერ მონოდებული მონაცემების საფუძველზე.

ამასთანავე ელექტრონული კომერციის მონაწილეების მიერ ნებაყოფლობით მონოდებულმა ინფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს საგადამხდელო ორგანოების გარკვეული ეჭვები, რადგან არ არსებობს მათი უტყუარობის შეფასების შესაძლებლობა.

ქართული კანონმდებლობა არ გამოყოფს ინტერნეტ მენარმეს დაბეგვრის კუთხით. შესაბამისად, თუ რა გადასახადების გადახდა მოუწევს მენარმე სუბიექტს, დამოკიდებულია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. გარკვეული შეღავათები არსებობს მხოლოდ იმ იურიდიული პირებისთვის, ვინც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას (კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები) და მინიჭებული აქვს შესაბამისი – ვირტუალური ზონის პირის – სტატუსი.

სხენებული სერთიფიკატის მიღების შემდეგ არ იბეგრება:

- ა) საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება;
- ბ) საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით;
- გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ექსპორტის გადასახდელით.[5]

III დასკვნა

ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარების პირობებში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთავრობები შემფოთებული არიან ქვეყნის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი დანაკარგების შესაძლებლობით.

გლობალური ელექტრონული კომერცია იწვევს სახელმწიფოებს შორის საზღვრების მოშლას და მნიშვნელოვნად აფერხებს ნაციონალური საგადამხდელო იურისდიქციის განხორციელებას და ხელს უწყობს დაბეგვრიდან თავის აცილებას.

ყოველივე ეს განაპირობებს არსებული საგადამხდელო სისტემების მოდერნიზაციის აუცილებლობას. დღედღეობით ამ მიმართულებით

აქტიური საქმიანობა წარმოებს როგორც ნაციონალურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს სინამდვილეში ზემოთაღნიშნული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე ელექტრონული კომერციის დაბალი განვითარების გამო ნაკლებად აქტუალურია. მაგრამ უახლოეს მომავალში ჩვენ ქვეყანაში მოსალოდნელია ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარება და დროა ქართულ კანონმდებლობაში საზღვარგარეთული გამოცდილების საფუძველზე ამოქმედდეს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ გადასახადების დანაკარგებს ელექტრონული კომერციული საქმიანობის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] “US Online Retail Forecast, 2011 To 2016” by Sucharita Milpuru. 27 Feb 2012
<http://www.forrester.com/US+Online+Retail+Forecast+2011+To+2016/fulltext/-/E-RES60672>
- [2] Bruce D., Fox F.W. “ State and Local Sales Tax Revenue Losses from E-Commerce “ Estimates as of July 2004 . Center for Business and Economic Research. University of Tennessee. P.2-9
- [3] McLure Ch, E. Jr. “ Taxation of Electronic Commerce: Economic Objective, Technological Constraints and Tax Law.” Stanford University. May 1998
- [4]”
: проблемы и перспективы : монография
Владивосток : Изд-во ВГУЭС, 2010. - 176 с.
- [5] კანონი და ონლაინ ბიზნესი
<http://www.infobiz.ge/kanoni-da-onlain-biznesi>